საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №1

2017 წლის 9 იანვარი

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება, თანახმად დანართისა.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 77 (სამოცდაჩვიდმეტი) საშტატო ერთეულით.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 29 ივნისის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №32 დადგენილება (გაზეთი ,,აჭარა“, 06.04.2007., №54 (22.798), გვ.7-9).
4. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **ზურაბ პატარაძე**

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება.
2. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ ამოცანებს.

4. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა და ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

5. სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის.

6. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქუჩა №119.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 2. სამინისტროს მმართველობის სფერო და ამოცანები

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის გარემოს დაცვის, აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგები.
2. სამინისტროს ამოცანებია:

ა) რეგიონში გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა;

ბ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მიმართულებების განვითარების მიზნით შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება;

გ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

დ) აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

ე) სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;

ვ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ზ) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებასა და რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის ხელშეწყობა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა;

ი) სასელექციო, სანერგე, სანაშენე, მეთესლეობის, ჯიშთგანახლებისა და მცენარეთა დაცვის საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

კ) საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით აგრარული ექსტენციის განვითარება;

ლ) რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის, რაციონალური გამოყენების, ნაყოფიერების გაზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;

ლ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონში სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ლ[2]) სამელიორაციო სისტემების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ლ[3]) სამელიორაციო სისტემების მიმდებარე ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირება

და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმება, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში შემავალი იმ სამუშაოების პროექტირება, რომლებიც არ საჭიროებენ საპროექტო კვლევა-ძიებას;
მ) სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტების საკონსულტაციო მომსახურების, პროფესიული ცოდნის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებისათვის ხელშეწყობა;

ნ) რეგიონში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

პ) რეგიონში აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებებისა და სხვა ლიდერ მიდგომების განვითარების ხელშეწყობა;

ჟ) აგრობიზნესის განვითარების, მათ შორის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა;

რ) შიდა და გარე ბაზრების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;

ს) საექსპორტო პოტენციალის გამოყენებისა და ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ტ) უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

უ) მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;

ფ) მემცენარეობის, მეცხოველეობისა და ვეტერინარული საქმიანობის ხელშეწყობა;

ქ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება;

ღ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების/ ქვეპროგრამების მართვა და მათი განხორციელების კონტროლი;

ყ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.

მუხლი 3. სამინისტროს კომპეტენცია
დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად სამინისტრო თავისი კომპენტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:
ა) მოამზადოს დასკვნები და წინადადებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტებზე, მთავრობის დადგენილებებსა და სხვა დოკუმენტებზე;

ბ) შეიმუშაოს და მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარადგინოს საკითხები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

გ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნას სხვადასხვა კომისიები ცალკეულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით;

დ) კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობას, მოამზადოს წინადადებები მათი შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები;

ვ) მოაწყოს აუქციონები, კონკურსები, ტენდერები სახელმწიფო სექტორსა და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეთა და სახელმწიფო შეკვეთების შემსრულებელთა გამოსავლენად;

ზ) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

თ) წარმართოს საკადრო პოლიტიკა, უზრუნველყოს მოხელეთა შეფასება და არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარება;

ი) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

კ) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, საჩივრები, წინადადებები და დროულად მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ლ) გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

მ) გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში;

ნ) პერიოდულად მოახსენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას თავისი საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ;

ო) განახორციელოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 29 ივნისის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 4. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.
2. მინისტრი:

ა) ერთმმართველობის პრინციპით წარმართავს სამინისტროს საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

ბ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტებს;

გ) პასუხისმგებელია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

დ) ზედამხედველობას უწევს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოადგილეს, სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოადგილეს, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს, დებს ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებებს, დასანიშნად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილის, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას – სამინისტროსა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) დამტკიცებული დებულებისა და სტრუქტურის შესაბამისად ამტკიცებს სამინისტროს საშტატო ნუსხას;

ზ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებსა და სტრუქტურას, ხოლო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას, სამინისტროსა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებასა და სტრუქტურას დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

თ) შეაქვს წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე;

ი) წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

კ) უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ლ) წარმოადგენს სამინისტროს სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

მ) ანაწილებს ფუნქციებს მინისტრის მოადგილეებსა და სხვა თანამდებობის პირებს შორის;

ნ) ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და მომზადების მიზნით მინისტრი ქმნის სათათბირო ორგანოებს – კომოსიებსა და საბჭოებს;

ო) შეაქვს წინადადებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში იმ

საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება;

პ) ასრულებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მინისტრს ჰყავს ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე, რომელსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

4. მინისტრის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამინისტროს ცალკეული დარგობრივი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) საქმიანობას, ასრულებს მინისტრის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს.

5. მინისტრის არყოფნისას, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან მინისტრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მინისტრის პირველი მოადგილის არყოფნისას, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან მინისტრის პირველი მოადგილის უფლებამოსლების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მინისტრის მოვალეობას დროებით ასრულებს მინისტრის მიერ წინასწარ განსაზღვრული მისი ერთ-ერთი მოადგილე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 29 ივნისის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 5. სამინისტროს სისტემა

1. სამინისტროს სისტემაში შედის:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს ან/და დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტრო.

2. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) აგრარული განვითარების დეპარტამენტი;

გ) პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი;

დ) პროგრამების მართვის დეპარტამენტი;

ე) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ვ) იურიდიული დეპარტამენტი;

ზ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;

თ) ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი.

2^1. სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებაა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო.

3. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია – ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი.

3^1. სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

4. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 23.01.2018წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.

მუხლი 6. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლება-მოვალეობები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) ანაწილებს ფუნქციებს მისდამი დაქვემდებარებულ საჯარო მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

ბ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის ფარგლებში;

გ) აბარებს ანგარიშს სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს (მინისტრი, პირველი მოადგილე, მოადგილე) სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის შესახებ;

დ) წარმოადგენს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობის შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრს ან მინისტრის მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

ე) სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, საქმიანობის ორგანიზაციის, სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეების წახალისების ან მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანების შესასრულებლად;

ზ) ასრულებს ამ დებულებით, სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის ან მინისტრის მოადგილის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ამოცანებს.

4. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

5. სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სამმართველოებად, განყოფილებებად და სხვა სტრუქტურულ ერთეულებად.

მუხლი 7. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული, ქვედანაყოფების და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო-ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფა;

ბ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება;

გ) სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება;

დ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ე) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ვ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკისა და ქცევის წესების შესრულების კონტროლი;

ზ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შემოსული კორესპონდენციების, აგრეთვე სხვა საკონტროლო დავალების შესრულების ანალიზი და კონტროლი;

თ) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა და დაგეგმვის უზრუნველყოფა;

ი) ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფა.

კ) სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა და კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოება. სამინისტროში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსების, მოხელის კარიერული განვითარების, მოხელის შეფასების, რეზერვში ჩარიცხვის მოხელისათვის კლასის მინიჭების, თანამდებობების რანგებში გადანაწილების პროცესის, სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

მუხლი 8. აგრარული განვითარების დეპარტამენტი

აგრარული განვითარების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სოფლის მეურნეობის დარგების მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის და სხვა დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება;

ბ) რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით პრიორიტეტული დარგების და მათი განვითარების სტრატეგიის შემუშავება;

გ) რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის, რაციონალური გამოყენების, ნაყოფიერების გაზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადება;

დ) კონკურენტუნარიანი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გამოვლენა, შესაბამისი წარმოების ჯაჭვის შესწავლა და წინადადებების მომზადება;

ე) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოებისა და გადამუშავების მიმართულებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება;

ვ) რეგიონში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება;

თ) მემცენარეობის დარგში მეთესლეობის, სანერგე მეურნეობების, სელექციის და ჯიშთგანახლების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადება;

ი) მეცხოველეობის დარგში სანაშენე და ჯიშთგანახლების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადება;

კ) ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევის მიზნით წინადადებების მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა;

მ) კერძო და/ან საჯარო ვეტერინარიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება;

ნ) აგრარული ექსტენციის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ო) სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის დარგების მიხედვით დეტალური ექსტენციის კალენდრის მომზადება, ექსტენციის ფაზების გამოკვეთა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფა;

პ) თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი ჯიშების შესახებ ბაზარზე არსებული ინფორმაციის მობილიზაცია, დამუშავება და დანერგვისთვის წინადადებების მომზადება;

ჟ) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებასა და რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება;

რ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით წინადადებების მომზადება;

ს) სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშების და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების მიერ პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი ყოველკვარტალური ანგარიშების, სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით განხილვა და შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა;

ტ) მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

უ) ცენტრალურ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების/პროგრამების/ქვეპროგრამების იდენტიფიცირება და ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა;

ფ) ცენტრალურ, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროექტებში/პროგრამებში/ქვეპროგრამებში რეგიონის ფერმერთა და აგრომეწარმეთა ჩართულობის ხელშეწყობა;

ქ) აგრობიზნესში დასაქმებულ პირებთან (მ.შ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან) და ფერმერულ ჯგუფებთან აქტიური კომუნიკაცია, მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რეკომენდაციების წარმოდგენა;

ღ) სამინისტროს სტრატეგიის განახლების პროცესში სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის/კვლევების მობილიზაცია და სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის გაზიარება;

ყ) ფერმერთა და აგრომეწარმეთა ერთიანი რეესტრის სისტემის ფუნქციონირება, მობილიზებული ინფორმაციის (სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების, მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, მათ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო აქტივების შესახებ და სხვა ინფორმაცია) შეგროვება, დამუშავება და მისი ერთიან ელექტრონულ ბაზაში კონსოლიდაციის უზრუნველყოფა;
შ) დარგში არსებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და მობილიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი წინადადებების მომზადება;
ჩ) კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების შემუშავება.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.

მუხლი 9. პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი
პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) რეგიონის სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვა და მისი შესრულების მონიტორინგი;
ბ) სტრატეგიული დოკუმენტების და სამოქმედო გეგმების შემუშავება;
გ) სამინისტროს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების/სისტემის დაწესებულებების იდენტიფიცირება;
დ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების/სისტემის დაწესებულებების მიერ სტრატეგიული მიმართულებების და პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და პროცესების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
ე) მონიტორინგის მიზნით საჭირო ტექნიკური ინდიკატორების თაობაზე წინადადებების მომზადება, მონიტორინგის შედეგების შეჯამება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
ვ) შიდა და გარე ბაზრების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
ზ) სტრატეგიული დოკუმენტების და სამოქმედო გეგმების ინდიკატორების შესრულების ანალიზი და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში შესაბამისი რეკომენდაციების ასახვა;
თ) სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია;
ი) სოფლის მეურნეობის საინვესტიციო პოტენციალის შესწავლა, სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციაში ახალი საინვესტიციო წინადადებების მომზადება;
კ) სოფლის მეურნეობის მიმართულებების შესახებ ინვესტორების ინფორმირება, ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების იდენტიფიცირება და დაგეგმვა (ფორუმები, კონფერენციები, გამოფენები და სხვა);
ლ) ინვესტორების მიერ მოწოდებული საინვესტიციო პროექტების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
მ) კომპეტენციის ფარგლებში დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომლობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა;
ნ) რეგიონში არსებული დონორების მიერ განხორციელებული/მიმდინარე პროექტების თაობაზე დეტალური საინფორმაციო ბაზის შექმნა;
ო) დონორთა კოორდინაციის მიზნით მათთან შეხვედრების ორგანიზება;
პ) დონორთათვის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის დარგის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მობილიზაცია;
ჟ) რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივ გაერთიანებებთან (შემდგომში – ა.მ.ა.გ.) მუშაობა და მათი მობილიზაციის ხელშეწყობა;
რ) ა.მ.ა.გ.-ებისა და სხვა ფერმერული ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირება, შესწავლა, ანალიზი და სამინისტროს მიერ შესაბამისი წლის პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვის ეტაპზე გამოვლენილი პრიორიტეტული საჭიროებების წარმოდგენა;
ს) ა.მ.ა.გ.-ების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათი განვითარების სტრატეგიების და სამუშაო გეგმების შემუშავება, მათი განხორციელების მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციებისა და ანგარიშების მომზადება;
ტ) ა.მ.ა.გ.-ების განვითარების პერსპექტივების, სტრატეგიების და სამუშაო გეგმების დონორებთან კოორდინაცია;
უ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების თაობაზე ინფორმაციის მობილიზება და დამუშავება;
ფ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფა;

ქ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტირების უზრუნველყოფა;
ღ) რისკის მართვისა და შიდა კონტროლის ღონისძიებების კოორდინირება;
ყ) რისკის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანგარიშის მომზადება;
შ) კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების შემუშავება.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 23.05.2017წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.

მუხლი9[1]. პროგრამების მართვის დეპარტამენტი
პროგრამების მართვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სტრატეგიებზე, იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე დაყრდნობით, ასევე სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ხელშეწყობისა და სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების ხელშეწყობის მიზნით პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება;
ბ) სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საერთო კოორდინაცია და განხორციელების უზრუნველყოფა;
გ) სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების პირობების, შესაბამის შემთხვევაში შესასყიდი ობიექტის მახასიათებლების, სპეციფიკაციების განსაზღვრა;
დ) სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევისა და მათზე პროგრამებითა და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
ე) სამინისტროს და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების მიერ პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების პროცესების სრულყოფის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;
ვ) სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ზედამხედველობა და კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა;
ზ) სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების შესახებ ყოველკვარტალური ანგარიშების მომზადება და წარმოდგენა;
თ) კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონში სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა;
ი) სამელიორაციო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა;
კ) რეგიონში მიწის მელიორაციის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და სამელიორაციო სისტემების განვითარებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება;
ლ) რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის, რაციონალური გამოყენების, ნაყოფიერების გაზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
მ) კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შემუშავებაში მონაწილეობა. სამელიორაციო სისტემების შეკეთების, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის სამუშაოებზე საპროექტო დავალებების დოკუმენტაციის მომზადება;
ნ) საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, შეფასება და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, მათი სალიკვიდაციო სამუშაოების კოორდინაცია. ექსტრემალურ პირობებში სამელიორაციო სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა;
ო) სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვის, შეკეთების, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფა;
პ) სამელიორაციო სისტემების მიმდებარე ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირებისა და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმების უზრუნველყოფა, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში შემავალი იმ სამუშაოების პროექტირება, რომლებიც არ საჭიროებენ საპროექტო კვლევა-ძიებას;
ჟ) სამელიორაციო სისტემების სფეროში საექსპერტიზო საქმიანობის (გარდა სახელმწიფო ექსპერტიზისა) ორგანიზაცია;
რ) კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების შემუშავება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.

მუხლი 11. (ამოღებულია)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 18 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 22.04.2019წ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 16 მაისის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 17.05.2019წ.

მუხლი 12. შიდა აუდიტის დეპარტამენტი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება;

დ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ვ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

მუხლი 13. იურიდიული დეპარტამენტი
იურიდიული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) სამინისტროს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის წარმართვა და ამ მიზნით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან, სამინისტროს სისტემის დაწესებულებებიდან, სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უპირატესი ნორმატიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან;

დ) დამოუკიდებლად ან/და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებთან ერთად ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და მოქმედ ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან მათი გაუქმების შესახებ წინადადებების მომზადება;

ე) მოქალაქეებისა და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა და/ან განხილვაში მონაწილეობა;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

ზ) სამინისტროს ხელმძღვანელობისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

მუხლი 14. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) სამინისტროს ცენტრალული აპარატის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება;

ბ) სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი კვარტალური და წლიური ანგარიშების სისწორის კონტროლი;

გ) ფულადი სახსრების ანგარიშსწორებებისა და მატერიალურ ფასეულობათა შეფასება, ინვენტარიზაციის შედეგების განსაზღვრა და აღრიცხვა;

დ) სამინისტროსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა რესურსების ხარჯვისა და განკარგვის კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის კონტროლი;

ე) სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ხარჯების მიზნობრიობის დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაციის დეპარტამენტში მიღება და დაფინანსების ორგანიზება;

ვ) სამინისტროს აპარატისა და ნაერთი კვარტალური და წლიური ბალანსების შედგენა;

ზ) ბუღალტრული ანგარიშგების შედგენა და შესაბამის დაწესებულებებში წარდგენა.

მუხლი 15. ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი
ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) სამინისტროს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება და განსაზღვრა;

ბ) სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის წარმართვა;

გ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების ერთიანი

ბიუჯეტების პროექტის შემუშავება და შესაბამის დაწესებულებებში წარდგენა;

დ) საბიუჯეტო დაფინანსების სისტემური ანალიზი, პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების პირობების სრულყოფა;

ე) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ვ) სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხის მიზნობრივი ათვისების უზრუნველყოფა;

ზ) სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტების შესრულების ანალიზი და ანგარიშგება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 23.01.2018წ.

მუხლი 16. მინისტრის სათათბირო ორგანოები
1. მინისტრს უფლება აქვს თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და მომზადების მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები - კომისიები და საბჭოები.
2. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სათათბირო ორგანო უფლებამოსილია მის წინაშე შედგომი ამოცანების შესასრულებლად გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები უნდა წარედგინოს მინისტრს.

5. სახელმწიფო მოხელე ან სხვა პირი, რომელიც სახელმწიფო მოხელე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად ინიშნება მისი თანხმობით.

მუხლი 17. სამინისტროს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.